სახალხო განათლება+

„ქვეყანად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 2 (4541) ● 25 იანვარი ● 2017 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●

გილოცავთ ნათლისღებასა და ნინოობას!

თბილისის 142-ე საჯარო სკოლა ახალ სიმაღლეებს იპყრობს

ნოვაციების ტრიუმფი

თბილისის 142-ე საჯარო სკოლა ერთ-ერთი სახელოვანი, გამორჩეული სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც მდიდარია

თავისი ტრადიციებით და განათლების მაღალი დონით. ბოლო წლებში, სკოლამ დიდ წინსვლას და თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია შესანიშნავი პედაგოგიური კოლექტივის წყალობით. აქ მუდამ ჯანსაღი ატმოსფერო და პოზიტიური განწყობა სუფევს. მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში და სხვადასხვა ოლიმპიადებში, საიდანაც გამარჯვებულები და დიპლომებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. ნაყოფიერი იყო გასული სასწავლო წელი, რადგან **შვიდმა** კურსდამთავრებულმა **ოქროს**, ხოლო **ერთმა ვერცხლის მედალი** მოიპოვა. თითოეული მათგანი, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მაღალი შეფასებებით ჩაირიცხა.

სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთა უმეტესობა ჩართულია პროფესიული განვითარების სქემაში. სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად თანამშრომლობენ როგორც სამეურვეო საბჭო, ასევე მშობლები. ეფექტურად მუშაობს სკოლის თვითმმართველობა. 142-ე სკოლა პირველი გამოეხმაურა განათლების მინისტრის ინიციატივას და სამომავლოდ დაგეგმილია სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსების აქტიური გამოყენება, რაც ეტაპობრივად დაინერგება.

სასკოლო საქმიანობას ჩინებულად წარმართავს სკოლის დირექტორი **შორენა ცნობილაძე**. იგი ექვსი წელიწადია, რაც ხელმძღვანელია და შეიძლება ითქვას, სკოლა აღორძინა. ქალბატონი შორენა გამოირჩევა არამარტო საქმის სიყვარულით და დიდი ენთუზიაზმით, არამედ გულისხმიერებით და ქველმოქმედებით. მისი მოსვლის დღიდან სკოლაში დამყარდა წესრიგი, ამაღლდა განათლების დონე, შეიცვალა ინფრასტრუქტურა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით შენობას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მოწესრიგდა სველი წერტილები, ოთახები და კაბინეტები, გარემონტდა სახურავი. სკოლა აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით და სხვა. სკოლის მესვეურები აქტიურად არიან ჩართულნი საქველმოქმედო საქმიანობაში. აქ სპეციალურად გახსნილია ოთახი - **„თბილეთი“**, სადაც შემოწირულობებს აგროვებენ და შემდეგ, მოხუცთა თავშესაფარს და ძეგვის ბავშვთა სახლს გადასცემენ.

დირექტორის ინიციატივით უკვე ტრადიციად დამკვიდრდა მოსწავლეების სტუმრობა **თემქის მოხუცთა თავშესაფარში**, სადაც ხანდაზმულებს თავიანთი შემოქმედებით ლამაზ დღეებს ჩუქნიან. საქველმოქმედო ღონისძიებაში აქტიურად იყო ჩართული სკოლის პედაგოგი, ფილოლოგი და პოეტი **მაყვალა გურმანიზაშვილი**, რომელმაც მოხუცებს თავისი შემოქმედება გააცნო. ასევე, შთამბეჭდავი იყო ძეგვის ბავშვთა სახლში სტუმრობა, სადაც მოსწავლეებთან ერთად იმყოფებოდა სასულიერო პირი **მამა გურამი** (თოხოზორია) და სკოლის აქტიური მშობელი და პოეტი **დიკა სალაყაია**.

განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია სისხლის ჩაბარების აქცია, სადაც დირექტორის ინიციატივით სკოლაში, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოდან მოიწვიეს **„სისხლის ბანკი“** და პედაგოგებთან ერთად სისხლი ჩააბარეს ადგილობრივმა მოსახლეობამაც, რითაც დაეხმარნენ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს.

სკოლაში ხშირად

იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები, სკოლის დირექციას მხარში უდგას აქტიური მშობელი, ცნობილი მსახიობი და მომღერალი **ლაშა რამიშვილი**. ცოტა ხნის წინათ, სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა მუსიკალური სტუდია, რომელსაც **ლაშა რამიშვილი** ხელმძღვანელობს.

ახლახან სკოლაში მნიშვნელოვანი სიახლე განხორციელდა, რადგან გაიხსნა **გაეროს ახალგაზრდული კლუბი**, რომლის მთავარი მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის – გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების სამუშაო გეგმის გაცნობა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: პარლამენტის

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში**, საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში – **თათია დოლიძე**, თბილისის საკრებულოს წევრი – **ლია ჯახველაძე**, ორგანიზაცია **„მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისთვის“** წარმომადგენელი – **რიტა პროკოპენკო** და სხვები.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, გაეროს ახალგაზრდული კლუბის გახსნის იდეა ეფუძნება მოსწავლეების ინფორმირებულობას და სპეციალური ვიზიტით, **სკოლის დირექტორების სტაჟირების პროგრამას**. სწორედ, **შორენა ცნობილაძე იყო პირველი ჩვენი ქვეყნიდან**, რომელმაც აღნიშნულ პროგრამაში და სკოლის დირექტორების გადამზადების პროექტში მიიღო მონაწილეობა.

გაგრძელება მე-2 გვ.

ანა კალანდაძე

შოდიოდა ნინო მთებით

ლურჯა მწყერჩიტებს
ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა...
და როდესაც ბაღში
ვარდნი ყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის
მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები
ბღაოდნენ...
მოჰქიოდა, ქარი ღრუბლებს
მოჰქიოდა
და ფარავანს ტბასა ზედა
ძრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი
ვაზის ჯვარი...
თოვლის მთებით ჰკვირდებოდა
უცხო მგზავრი, –
ვის უნახავს ვარდობისას
თოვლი მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა:
რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა:
საქართველო არის ესე...
მიქინა... ერთ წალკოტში მიქინა
და ფშატებმა მზისგან
მოუჩრდილესო;
ო, ეს ვინ არი,
გამოცხადდა მგზავრის წინა?
„ნუ გეშინინ!“ – ეუბნება იესო...
გაეღვიძა... წუთით იგრძნო
მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა აგალებდა
რაოდენს?
თოვლი იდო ჯავახეთის
მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები
ბღაოდნენ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ უძველეს რაიონში, მის ცენტრალურ მაგისტრალზე, ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარეობს ერთ-ერთი გამორჩეული მე-10 საჯარო სკოლა.

წელს სკოლას დაფუძნებიდან 80 წელი უსრულდება. იგი დაარსდა 1937 წელს ვაჟთა გიმნაზიის სახელწოდებით. 1941-1945 წლებში აქ ფუნქციონირებდა სამხედრო ჰოსპიტალი, ხოლო ომის შემდგომ დღემდე იგი წარმატებული საშუალო სკოლის სახით გვევლინება.

დღეს სკოლას ხელმძღვანელობს სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ამაგდარი, ასევე საქმის ერთგული **მარინე რატიანი**.

სადღეისოდ სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 1413 მოსწავლეს ითვლის.

სასწავლო პროცესის სრულყოფა-წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით კათედრებს ჰუმანიტარულ, დაწყებით, ტექნიკურ და უცხოური ენების საგნებში. კათედრების საქმიანობა შეიცავს სამოქმედო გეგმებისა და პორტფოლიოების შემუშავებას. მისი ძირითადი მიზანია ორიენტირება მონაწილეობით მართვაზე, მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნა-უნარ-ჩვევებსა და ვალდებულებების ერთობლიობაზე,

გამორჩეული პიროვნება **ბელა ხუბუტია**. მისი მოადგილეები არიან სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში **მარიამ ჩიკვაიძე** და **მარეხ ირემაძე**, სამეურნეო დარგში კი მათ მხარში უდგას პასუხისმგებლობის განაწილებაზე.

სკოლის საქმიანობის ძირითადი მისია გახლავთ **„ჩვენ ვქმნით საქართველოს განათლებულ მომავალს“**. კოლექტივის ხედვა

თბილისის მე-10 საჯარო სკოლა — 80

მუდამ მოწინავე და დღესაც გამორჩეული

კი ასეთია – **„ჩვენ გვსურს უზრუნველვყოთ სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი განათლების პირობები“**.

აღმზრდელობითი კუთხით სკოლის მიერ განხორციელებული ყველა (საგაკვეთილო თუ არასაგაკვეთილო) აქტივობა თავისთავად ემსახურება მოსწავლეთა აღზრდას – გაკვეთილები, პროექტები, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ე. წ. **„კლასის საათი“** და ა. შ. სკოლის საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის ფსიქოლოგი.

სკოლის სამეურვეო საბჭოში შედის ექვსი მასწავლებელი, ექვსი მშობელი და ერთი მოსწავლე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მოსწავლეთა წარმატებები სხვადასხვა სასწავლო-აღმზრდელობით ღონისძიებაში.

2015-2016 წლების მონაცემებით ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილეობის კუთხით აღნიშვნის ღირსნი არიან მოსწავლეები: **გიორგი პეტრიაშვილი**, **ცოტნე ჩახვაძე**, **ანი მაგრაქველიძე**, **ანი მუხიგულაშვილი**; სპორტული მიმართულებით ევროპის ჩემპიონები ჭიდაობაში **შალვა** და **გიორგი ჭადაშვილები**, მხატვრულ ტანვარჯიშში – **ანა ბუიშვილი**, მუსიკაში – ბიჭუნათა სახელმწიფო კაპელას წევრი **გიორგი სიდამონიძე**.

აქ ენთუზიაზმით მოღვაწეობს 28 სერთიფიცირებული პედაგოგი, მათ შორის 4 არის ტრენერი, ხოლო 2 - 1000 ლარიანი მასწავლებელი.

„სახალხო განათლება+“-ის მკითხველებს გვსურს ვაუწყოთ იმის თაობაზეც, თუ რა სასარგებლო საქმიანობას ეწევა სკოლის დირექტორი **ბელა ხუბუტია** მეუღლესთან, 116-ე საჯარო სკოლის ყოფილ დირექტორთან **დიმიტრი მეჭურჭლიშვილთან** და საგანმანათლებლო საქმიანობაში

გამოცდილ პედაგოგ **ნუკრი მაჭავარიანთან** ერთად.

აღნიშნული სამეულის ავტორობით 2013 წელს სტამბურად გამოიცა წიგნი **„სკოლის სტრატეგიული მართვა“**.

ეს წიგნი მეტად საჭირო და საინტერესოა სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემაში მომუშავე პედაგოგებისა და სკოლების დირექტორებისთვის. ამ წიგნში საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებთან ერთად, მეტად აქტუალურია სპეციალური თავი: **„სკოლის სტრატეგიული მიზნები“**.

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია ვუსურვებთ, თბილისის მე-10 სკოლის კოლექტივს, მის ხელმძღვანელობას ახალ, 2017 წლის შემობრძანებას და ვუსურვებთ, კეთილ სურვილებს დასახული მიზნების წარმატებით შესრულებაში.

რომან მოსეშვილი

1-ლი გვერდიდან

აღნიშნულ პროექტსა და ამერიკაში საქმიან ვიზიტზე თავად ქალბატონი შორენა გვესაუბრება.

– წარმატებული ვიზიტი იყო და მართლაც, შთაბეჭდილებებით დახუნძლული დავბრუნდი, ყველაფერი კი, ასე დაიწყო – 2016 წლის აგვისტოში, თბილისის მერიასა და საკრებულოს, ასევე, ფილადელფიაში არასამთავრობო ორგანიზაცია **„გლობალური განათლების მოტივატორს“** შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მთავარი მიზანია: საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგები და სტაჟირების პროგრამა, რომლის პრეზიდენტი გახლავთ პროფესორი **ვეინ ჯაკობი**. საქართველოში კი, აღნიშნულ პროექტს ორგანიზება გაუწია – არასამთავრობო ორგანიზაციამ **„მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“**, რომლის პრეზიდენტია **რიტა პროკოპენკო**. პროექტი მიზნად ისახავდა ამერიკაში, სკოლის დირექტორების გადამზადებას და სტაჟირებას. კერძოდ, **„ჩესნათ ჰილ კოლეჯის“** უნივერსიტეტში, რომელიც 1924 წელს დაარსდა, ჩაგვიტარდა განათლების დეპარტამენტის ლექციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში – **მეთოდიკასა** და **მენეჯმენტში**. აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნულ დეპარტამენტის მიერ ხორციელდება სკოლის დირექტორების სტაჟირება და სერთიფიცირება. ჩვენ ასევე, გვქონდა მივლინება კერძო და საჯარო სკოლებში, სადაც ადგილზე გავეცანით სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, მეთოდოლოგიას და მენეჯმენტს. საგულისხმოა, რომ თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და მეთოდიკაში დიდი როლი ეთმობა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების გაცნობას. ასევე, მოსწავლეების ჩართულობას აღნიშნული მიზნების განხორციელების პროცესში.

ჩვენმა ამერიკელმა კოლეგებმა გაგვიზიარეს ეფექტური მიდგომები, თუ როგორ და რა მეთოდით უნდა იყოს მიღწეული ეფექტური და ხარისხიანი სწავლება, როგორ ამაღლდეს განათლების პროცესი ჩვენს ქვეყანაში. ტრენინგებზე მოვისმინეთ დისტანციური ლექციებიც სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებისგან, გავიღრმავეთ ცოდნა – თუ როგორ გამოვიყენოთ ეფექტურად რესურსები სასწავლო პროცესში.

142-ე სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მოზარდებმა კარგი განათლება მიიღონ. სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი მოწოდებულია იმისათვის, რომ აღზარდონ ჯანსაღი და განათლებული მომავალი თაობა, რომელიც საქართველოს მოუვლის და სწორი გზით წაიყვანს. კვლავ განაგრძობს მდიდარ ტრადიციებს და გაუფრთხილდება ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს.

მზია გოგოძე

თბილისის 179-ე საჯარო სკოლა ევროპულ სტანდარტებს უმიზნებს

გამოცდილ დირექტორს ჰყავს ძლიერი პედაგოგები უღრის მაღალ შედეგებს

ძლიერი პედაგოგები პირდაპირპროპორციულნი არიან სწავლების მაღალი ხარისხისა. ეს მათემატიკური ენით ნათქვამი აქსიომაა. დიახ, თბილისის 179-ე საჯარო სკოლაში გამოცდილი დირექტორი და შემოქმედი პედაგოგები მოღვაწეობენ.

სკოლის ხელმძღვანელის **ხათუნა ნებიერიძის** ბიოგრაფიას ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა ამშვენებს. ნიჭიერი, შემოქმედი კარგა ხნის წინათ სკოლის დირექტორად დაწინაურდა. წლების მანძილზე, წარმატებით უძღვებოდა დედაქალაქის

130-ე საჯარო სკოლას და ბევრი საინტერესო პროექტი განახორციელა, მაგრამ „ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ სამწუხაროდ, არსაკიძის ბედს ვერ აცდა: „დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია?“ შაშკინის რეჟიმმა და მანდატურების ძალმომრეობამ „იმსხვერპლა“, უკანონოდ გაათავისუფლეს, გული ატკინეს, მაგრამ ნიჭმა მაინც თავისი გაიტანა. დირექტორების კონკურსში გაიმარჯვა და 179-ე სკოლაში თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდა.

მას ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი უდგას გვერდში, ასევე, მხარს უმშვენებენ გამობრძმედილი მოადგილეები: **ნინო ბერიძე** და **სვეტლანა ალოიანი**. გუნდური პრინციპით მოღვაწეობის კეთილი შედეგები უკვე სახეზეა.

ამის შესახებ სჯობს, თავად დირექტორთან ჩვენი საუბარი მოვისმინოთ, რომლის მოკლე შინაარსს აქვე გთავაზობთ.

***

სკოლას შარშან არსებობის 30 წელი შეუსრულდა. ამჟამად, აქ სხვადასხვა ეროვნების ათასამდე მოსწავლე იზრდება. დირექციასა და პედკოლექტივთან ერთად სკოლის წინსვლა-წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით ბუღალტერ **ნათელა აფციაურს**, მნე **შოთა ჯაგაშვილს**, საინფორმაციო მენეჯერ **ზოია მათეშვილს**, აიტი **ლევან მგელაძეს** და სხვებს.

შარშან სკოლაში გაიხსნა ექვსი პირველი კლასი. სკოლის სამეურვეო საბჭოს უძღვება მისი თავმჯდომარე **რუსუდან გორდელაძე**, მდივანია **ნაირა ჩანქსელიანი**. საბჭოს წევრები არიან: **მარინე გონაშვილი, იზოლდა შუხოშვილი, ზურაბ გაბროშვილი, მარინე ივანაშვილი, მაია ბოლბატი, ნატო გიგაური, საიდა ჭითანავა, მარეხ ბენდელიანი, ზეინაბ მიქავა, ირმა შაკიაშვილი, მარიამ საჩეჩელაშვილი**.

54 პედაგოგიდან 19 სერთიფიცირებულია, წამყვანი – **ვაჟა ორველაშვილი**, უფროსი პედაგოგები: **ლიანა ხვთისიაშვილი, მარინე გონაშვილი, ნათელა ჯავახიშვილი, დოდო ჩუბინიძე, მანანა ჭონიაშვილი,**

მზია ოსიაშვილი, მარიამ ტურაშვილი, ლალი ძამიაშვილი, ლია აბაშიძე, რუსუდან აკობიძე, ნანა ხატიური, თინა კონსტანტინიდი, ზურაბ გაბროშვილი, იზოლდა შუხოშვილი, მთვარისა წიკლაური, მარინე მეკარიშვილი, ოლღა კვეზერელი, დარეჯან სუთიძე.

საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობა დიდად განაპირობებს სწავლების მაღალ ხარისხს. სულ 7 კათედრაა და ყველა თავისი საგნის მეთოდოლოგიაში ჯგუფურ-ინდივიდუალურ პროექტებზე მუშაობს, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ორიენტირებულები არიან მაღალ შედეგებზე. ქართული ენა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელია – **მანანა ჭონიაშვილი**, მათემატიკისა – **მარიამ ტურაშვილი**, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა – **მარინე ივანაშვილი**, უცხოური ენებისა – **როზა მხეიძე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა – **ირმა ხატიაშვილი**, დაწყებითებისა – **ნუკი ბუნტურიძე** და ესთეტიკისა – **მაგდა ბენიძე**.

ვცდილობთ, საზოგადოებასთან შეთანხმებით აღვზარდოთ ისეთი მოსწავლეები, რომელთა ცოდნა იქნება მყარი, დინამიური და შეძლებენ თავისი ცოდნის რეალიზაციას. იყვნენ კონკურენტუნარიანნი, აქტიური საზოგადოებაში, საკუთარი ქვეყნის განვითარებასა და გაძლიერებაში. ყველა ბავშვს აქვს საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენის და მაღალი აკადემიური მიღწევის შესაძლებლობა. შარშან სკოლაში გვყავდა 1 ოქროს მედალოსანი – **ნათია შირიანცი**. წელს კი მედალოსნობის კანდიდატები არიან: ოქროსი – **სოფიკო ავალიშვილი, მარიამ ომაძე, ნათელა შელია**, ვერცხლისა – **მარიამ მამნიაშვილი**. ვუსურვოთ მათ მიზნის მიღწევა!

ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ

სხვადასხვა კონკურსში, საიდანაც გამარჯვებულები ბრუნდებიან დიპლომებით, სიგელებით ხელდამშვენებულნი. ყოველწლიურად ხელოვნების პედაგოგ

იზა გაბუნიას ხელმძღვანელობით მონაწილეობას იღებენ რბილი სათამაშოების კონკურსში, მე-6-7 კლასის მოსწავლეები, ჯილდოვდებიან დიპლომებით. სკოლა აქტიურად მონაწილეობს ასევე **„კინგსის“**, **„ევერესტის“**, **„სმარტის“** კონკურსებში. აქაც ბევრია გამარჯვებული.

ჩვენი მე-4 კლასელი **სესილი ხუხუა** (პედაგოგი **ნანული ნაკაშიძე**) და **ნიკოლოზ ყრუაშვილი** მოხვდნენ **„კინგსის ოქროს ათეულში“**. ფინალში გადავიდა ასევე, მეექვსე კლასელი **ნათელა ლეკიშვილი** (პედაგოგი **ლალი ძამიაშვილი**).

წელს მონაწილეობა მივიღეთ განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ ლოჯისტიკის ჩემპიონატში მათემატიკაში, სადაც გვყავს მეორე ტურში გადასული მოსწავლეები მე-2, 3, 4, 5 კლასებიდან, რომლებმაც მაღალი შედეგები აჩვენეს.

სკოლაში ფუნქციონირებს ხალხური და ევროპული ცეკვის სამი სტუდია **რომან ბირთველიშვილის**, **მამუკა ცერცვაძის** და **თინიკო ჟვანიას** ხელმძღვანელობით. მეტად პოპულარულია ჭადრაკის წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს **დარეჯან ჩაკვეტაძე**. ასევე, კარგად მუშაობენ გამაჯანსაღებელი ტანვარჯიშის და კარატეს წრეები.

გახანგრძლივებულმა წრეებმაც ბევრი გულშემატკივარი მოიზიდეს. სკოლის ბიბლიოთეკაში მისი გამგე **ზეინარ ჯაჭვლიანი** – საინტერესო ღონისძიებებს აწყობს. ბიბლიოთეკაში არის მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა, მოსწავლეები და პედაგოგები აქტიურად კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას. ეწყობა მკითხველთა კონფერენციები და სხვა.

კიდევ ბევრ წარმატებაზე შეიძლება საუბარი, მაგრამ სხვა დროისთვის იყოს. სწავლის მიმართ ასეთი ინტერესი, გატაცება და სიყვარული ახალი წარმატებების საწინდარია.

შობა-ახალ წელს გილოცავთ, 179-ე სკოლელებო!

თქვენს გამარჯვებებზე მომავალში უფრო სრული და კეთილი სტატია დამეწეროს.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

„ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს

თბილისის მერის **დავით ნარმანიას** უხმაურო შრომის შედეგია ერთ წელიწადში შვიდზე მეტი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი დედაქალაქში.

მიაბიჯეს მოსკოვის გამზირის V კვარტალში. ირგვლივ ძველი „ქალაქური“ პროექტის კორპუსებია. შიგადაშიგ ე. წ. „ხრუშჩოვკებიც“ გამოერევა და მოულოდნელად მიადგები ევროპულ ყაიდაზე, ორიგინალური პროექტით ნაშენებ 128-ე ბაგა-ბაღს, ლამაზი რკინის მესერით, არაჩვეულებრივი, გამწვანებული ვეებერთელა ეზოთი. ეს ყველაფერი იმდენად მომხიბლავია, მორიდებითაც კი აღებ ეზოს კარს, მერე – თვით ბაგა-ბაღის კარსაც. იქ კიდევ უფრო მეტი გაოცება გეუფლებათ. ყველაფერი ისე ბზინავს, როგორც გამრჯე დედის სახლია ხოლმე.

128-ე ბაგა-ბაღის დირექტორი **მანანა ყავლაშვილი** ამბობს: „ხომ ლამაზია ეს ბაგა-ბაღი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“.

თბილისის საჯარო ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსის **თემურ თორდინავას** თანადგომას გამუდმებით გრძნობს 128-ე ბაგა-ბაღი. ეზოში უკვე დაირგა მარადმწვანე ხეები. თანდათან ემატება ეგზოტიკური ნარგავები. საჩრდილობელი ფანჩატურის აგებაც დაგეგმილია. ესკიზები მზად არის. ასე რომ, პატარებს მზის მცხუნვარებისა და უეცარი წვიმისგან მხიარული თავშესაფარიც ექნებათ.

ასეთივე დადებით განწყობას იწვევს სამზარეულოც, ხომ ვიცით, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა კვებას. ამ საქმეს ბრწყინვალედ ემსახურებიან გამოცდილი მზარეული **ნანა გოგიჩაიშვილი**, მისი თანაშემწეები: **ელენე ნოზაძე**, **შორენა ბარულეიშვილი** და **ნინა ხიზანიშვილი**. დირექტორმა კმაყოფილებით განაცხადა, რომ კომპანია **„ელფს“** აქვს პასუხისმგებლობა აღებული სამზარეულოს მომარაგებასა და კონტროლზე. შესაბამისად, ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას მეტი დრო რჩება შემოქმედებითი და აღმზრდელობითი მუშაობისთვის. შედეგი კი ასეთია: ბაგა-ბაღმა 450 აღსაზრდელით დაიწყო მუშაობა, ეხლა ერთი წლის იუბილე აქვს და უკვე 680 ბავშვს ითვლის. მსურველი კიდევ იმდენია...; ჩემი იქ ყოფნის დროს მშობელი-მშობელზე მოდიოდა ქალბატონ მანანასთან იმ იმედით, რომ იქნება რაიმე შეიცვალა და მათი შვილებისთვისაც გამოჩნდა დამატებითი ადგილები. მათზე მეტად კი დირექტორი წუხს. იგი ასევე იმის გამოც წუხს, რომ მეზობელ კორპუსებში მცხოვრები ბავშვები ვერ მოხვდნენ 128-ე ბაგა-ბაღში იმ უბრალო მიზეზით, რომ ვერ მოასწრეს ონლაინ რეჟიმში დროულად დარეგისტრირება და ოცნებობს უფრო მეტი ფართისა და პირობების შექმნაზე.

აღსანიშნავია, რომ 128-ე ბაგა-ბაღს, აღსაზრდელებს შორის, 16 ინკლუზიური ბავშვი ჰყავს. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობაა. პერსონალი სისტემატურად არის ჩართული ე. წ. განვითარების პროცესში.

გამარჯობათ, 128-ე ბაგა-ბაღის ცეროდენებო!

ჯერ მხოლოდ ერთი წლისანი ვართ!

ისინი ესწრებიან ილიას უნივერსიტეტის ტრეინინგებს. მათ, აგრეთვე, გაიარეს მაკლეინის ასოციაციის ოთხდღიანი ტრეინინგი ინკლუზიური განათლების კუთხით. შესაბამისად, ტესტირებაც წარმატებით გაიარეს და სერთიფიკატებიც აიღეს.

გაზეთის ერთ-ერთი დანიშნულებაა, საზოგადოებრიობას ვაცნობოთ სახელმწიფოში მიმდინარე ჯანსაღი პროცესების შესახებ. და, აი, ესეც! საქართველოში, ოღონდ, ჯერ მხოლოდ დედაქალაქში, იმართება კონკურსი საჯარო ბაგა-ბაღებში დასაქმებული თანამშრომლების თანამდებობრივი დაწინაურების მიზნით. ამაზე უფრო დაწვრილებით შეიტყობთ ვებ-გვერდზე Kids.ong.ge.

შარშან, დეკემბერში კონკურსით ორი თანამშრომელი დააწინაურეს. თანაბარ უფლებებში მიზნისაკენ წინსვლის საშუალება ყველას ეძლევა.

ერთ წელიწადში ერთი ბაგა-ბაღიდან ორი მუშაკი თანამდებობრივად უკვე დაწინაურდა, ეს არც ისე ცოტაა. ამ ბაგა-ბაღიდან ტესტირებაში გამარჯვებულები სხვა ბაგა-ბაღებშიც გადანაწილდნენ დაწინაურებულ თანამდებობებზე. ამიტომაც ეამაყება ქალბატონ დირექტორს, - „ჩვენ კადრების სამჭედლო“ ვართ, - ამბობს იგი.

დირექტორს ერთგულად მხარში უდგას მისი მოადგილე **მაკა სოფრომაძე**. მათ მხარდამხარ შრომობენ და გარჯას არ აკლებენ პროფესიონალი და ერთგული აღმზრდელ-პედაგოგები: **ლელა შარაშიძე, თინათინ მინდიაშვილი, შორენა მახარაშვილი, თინათინ ხუციშვილი, ლილი აბელაშვილი, ნათელა კორტი-ნოზაძე, ნინო ბიგვავა, ნინო კემუხტაშვილი, ლელა ნაზარაშვილი, თამარ გალეგაშვილი, მედეა მერაბიშვილი, სოფიო ურუშაძე-ხატისკაცი, სვეტლანა სამხარაძე, ნინო ყარაულაშვილი, თამარ შაყულაშვილი, დარეჯან ტალახაძე, თინათინ მოსიძე, თამარ ბაზღაძე, ნესტან ნაჭყებია, ეკა ქარქაშაძე, თამარ სონღულაშვილი, ლალი გოგოლაშვილი, ნესტან ლომსაძე, სოფიო გუჯაბიძე, ლელა ბერაძე.**

ბავშვებს აქვთ მუსიკისა და ცეკვის შესანიშნავი დარბაზი. პატარებს სულს უფაქიზებენ მუსიკის პედაგოგები: **თამილა ნონიკაშვილი, ქეთევან წენგუაშვილი** და **ეთერ აზარაშვილი.**

ცეკვის გაკვეთილი ხომ დღესასწაულს ჰგავს. ყველა ხარობს ირგვლივ, სიცოცხლე ზეიმობს. ბავშვებს ძალიან უყვართ ცეკვის პედაგოგი **ნათია ფრანგიშვილი.**

ამავე დარბაზის კედელზე დიდი მონიტორია დამაგრებული, რომელსაც გარდა ცეკვა-სიმღერისა, შემეცნებითი ფილმების საყურებლად იყენებენ. პატარებმა უკვე იციან რა არის დედამიწა და დედამიწის მაცოცხლებელი ძალა - წყალი. მათ შეიმეცნეს წყლის სასიცოცხლო დანიშნულება ადამიანებისთვის და გაიგეს უწყლოობით რა შეიძლება მოხდეს დედამიწაზე.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობისთვის თავდადებით ზრუნავენ - მნე **მთვარისა მიქავა**, საქმისმწარმოებელი - **მარინე მენთეშაშვილი**, ბუღალტერი - **ვერა ნათენაძე**. მეთოდისტი **მაია ბუნტური** დიდ ძალისხმევას იჩენს პატარების თვალსაწიერის გასაფართოებლად. ფსიქოლოგი **ნინო ტატალაშვილი** მშვიდად და მაღალპროფესიულად უძღვება ბავშვების სხვადასხვა ხასიათის და თვისებების სწორად ფორმირების ურთულეს პროცესს. იგი მათ ჭირვეულობას სამართლიანობად და სულგრძელობად გარდაქმნის.

ბევრს მუშაობენ ბავშვებთან ლოგოპედი **მარინე ხიმშიაშვილი** და სპეცპედაგოგი **ფიქრია ჭყონია**. ექთნის **ლელა ხეიძის** თვალს არ გამოეპარება არც მსუბუქი გაციება და არც ვირუსი. მისი ძალისხმევით, ბავშვებს შორის

გრიპის გავრცელება მაქსიმალურად შეზღუდულია.

ბავშვები **„სასკოლო მზაობის პროგრამას“** თემატური აქტივობებით ავსებენ. დილა-საღამოს „წიგნის დროს“ 15-15 წუთი აქვს განკუთვნილი. ბავშვებმა სასწრაფო დახმარების სცენა გაითამაშეს, რამდენიმე ბიჭუნა ისე შეერთებულად მოძრაობდა, რომ ზედმიწევნით ჰგავდა სასწრაფო დახმარების მანქანას, კარი გაიღო, ექიმი და ექთანი გადმოვიდნენ..., მოკლედ ამ ცუგრუმელებს არც კრეატულობა აკლდათ და არც არტისტიზმი.

სპორტდარბაზიც ვიხილეთ. ყველაზე მეტად მაინც ერთმა რამემ გამახარა: ერთი წლის მანძილზე ექვს ასეულზე მეტი ბავშვის ჟრიამულია. ამ ახალ შენობაში, კი ყველაფერი ახალივითაა. პატარები აფასებენ ლამაზ გარემოს და არაფერს აფუჭებენ, უფრთხილდებიან საკუთარ კედლებს. კედლები კი, უჰ! რა ლამაზადაა მოხატული: ხეები, ყვავილები, ჩიტები...

შავნაბადას გიმნაზიამ 128-ე ბაგა-ბაღის ორ მოსწავლეს სამადლობელო სიგელი გადასცა.

ამ ბაგა-ბაღის პირველ საახალწლო ზეიმზე, სხვადასხვა მიზეზის გამო, თოვლის პაპა ვერ მოვიდა. სამაგიეროდ, „სანტა კლაუსმა“ მოულოცა პატარებს ახალი, 2017 წელი. მას, მართალია, თეთრი ნაბდის ნაცვლად, წითელი სამოსი ეცვა, მაგრამ ისეთი ქართული დავლური ჩამოუარა, ვინ იტყოდა უცხოელიაო. აი, ხო, ხედავთ, საქართველოს ბავშვებმა სანტა კლაუსი ჯერ ქართულად აცეკვეს, მერე კი, ვინ იცის, ნაბადიც წამოახურონ და მთელ მსოფლიოში ამოგზაურონ საქართველოს სახელით.

დაე, საქართველოს სადიდებლად იგუგუნოს 128-ე საბავშვო ბაგა-ბაღმა!

ციალა ხატიაშვილი

ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“

თბილ მეგობრულ გარემოში იზრდებიან პატარები თბილისის 156-ე საბავშვო ბაღში. ეზოში შესვლისთანავე მოიხიბლებით. თვალშისაცემია სისუფთავე, გამწვანება, გასართობები. საბავშვო ოთახები და დერეფნები ისეა მორთულ-მოკაზმული სხვადასხვა თვალსაჩინოებით, პატარებისა და მათი აღმზრდელების ერთობლივი ნამუშევრებით, რომ თავი ზღაპრულ სამყაროში გეგონებათ. აქ ყველგან ბავშვებისთვის საყვარელი ზღაპრებიდან გადმოსული პერსონაჟები დადიან.

გულისხმიერება, ესთეტიკური და მშობლიური გარემოს შექმნა, პატარებზე დედობრივი ზრუნვა, სწორედ ის გარემოებებია, რომლებიც კეთილად განაწყობს ნებისმიერ ადამიანს დირექტორის **ელენე თურმანიძის** მიმართ.

ქალბატონმა ელენემ, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო სახელოვან 156-ე ბაგა-ბაღში აღმზრდელად. გარკვეული წლები მუშაობდა მცხეთის რაიონში, ვარდისუბნის 4-წლიანი სკოლის გამგე-მასწავლებლად. 2009 წლიდან კი გამობრძმედილი პედაგოგი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ 156-ე საბავშვო ბაგა-ბაღს, დაინიშნა დირექტორად და წარმატებით ხელმძღვანელობს მას.

ახალგაზრდა, მაგრამ მეტად გამოცდილი დირექტორი ერთ მუშტად შეკრულ კოლექტივთან ერთად მოსვლისთანავე შეუდგა დაუღალავ, მუხლჩაუხრელ შრომას. მისი ინიციატივითა და მერიის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსის **თემურ თორდინავას** დახმარებით გაკეთდა უმაღლესი ხარისხის შენობის შიდა რემონტი. მთლიანად შეიცვალა იერ-სახე და თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო საბავშვო ოთახები, მუსიკის დარბაზი, სათამაშო ოთახი, სამზარეულო, სასაწყობე ფართი, სველი წერტილები. შემოიტანეს ყველა სახის ახალი ინვენტარი, ახალი მაცივრები. შეიძინეს ძვირადღირებული ტევადი წყლის სარეზერვო ჭურჭელი. უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები, გაიხსნა ინტერნეტში სპეციალური საიტი, სადაც თავისუფალ დროს მშობლებს შეუძლიათ ყოველდღიურად მიადევნონ თვალი თავიანთი ცუგრუმელების ყოფა-ცხოვრებას.

როგორ ცხოვრობთ, 156-ე ბაგა-ბაღელებო?

აქ თქვენზე დედასავით ზრუნავენ, ცეროდენებო

ბაღში ყველაფერი მოწესრიგებულია, – განაცხადა ჩვენთან საუბარში დირექტორმა. იყო შვიდი ჯგუფი, დღესდღეობით კი გვყავს თხუთმეტი. მსურველი კი გაცილებით ბევრია. პატარები მოჰყავთ არა მარტო ვაზისუბნიდან, არამედ, ვარკეთილიდან, ე. წ. აფრიკის დასახლებიდან, ნაძალადევიდანაც კი. შარშან იძულებული გავხდით სპორტული დარბაზი გადაგვეკეთებინა და გაგვეხსნა ახალი ჯგუფი.

მისასალმებელია, რომ **ელენე თურმანიძე** თავის წარმატებებთან ერთად არ ივიწყებს მისი წინამორბედების, ნაამაგარი პედაგოგების **ევგენია ხუციშვილისა** და სხვათა ღვაწლს და პატივისცემით მოიხსენიებს მათ.

დირექტორთან ერთად ბაგა-ბაღის სული და გული არიან მოადგილე **მაკა ჯიბუტი** და მეთოდისტი **თამარ დვალი**, რომელთა აქტიური დახმარებით აღმზრდელები წარმატებით ახორციელებენ **„სასკოლო მზაობის“ პროგრამას**.

ნორჩების ნებისყოფის, ცხოვრებაში საჭირო უნარ-ჩვევების მიზნით, ბევრს შრომობენ გამოცდილი ფსიქოლოგი – **ნათია ბედიაშვილი**, სპეცპედაგოგი – **ნანი ქადაგიშვილი** და ლოგოპედი – **ნათელა ჭამპურიძე**. დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს კეთილშობილი ქალბატონის, მნე **სოფიო ავეტისოვის** დაუღალავ შრომას.

მთელი ბაგა-ბაღის სიცოცხლე და სიხარულია მუსიკის პედაგოგების **ბელა კამლაძისა** და **ნინო ხვედელიძის**, ცეკვის მასწავლებლის – **სალომე ჯიქურაშვილის** გატაცებული მოღვაწეობაა. ისინი აფაქიზებენ მოზარდის სულს, თვალხატულა გოგო-ბიჭებს მუსიკალური ხელოვნების სიყვარულით ზრდიან.

საქმისმწარმოებლების **ლალი მაყიშვილის**, **მალხაზ უჯარაშვილისა** და **ხათუნა მახარაშვილის** გატაცებული შრომის გარეშე ბაგა-ბაღის წარმატება წარმოუდგენელია.

შექებას იმსახურებს ექთნის **ელისო ჭუმბურიძის** მუხლჩაუხრელი შრომა. ის მუდამ ფხიზლად დგას ცეროდენების ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

გემოვნებიანი მზარეულის **ნინა გელაშვილის** და მისი დამხმარეების: **მზია წიქარაშვილის**, **ნელი მწარიაშვილის**, **ქეთევან ასპანიძის** მიერ მომზადებული არომატული, მაღალკალორიული საჭმელები პატარებს შინ დედის გაკეთებულს ურჩევნიათ.

და, რა თქმა უნდა, ბაგა-ბაღის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ აღმზრდელები და მათი თანაშემწეები. მათ მხრებზე გადადის ყველაზე მძიმე შრომა.

საქებარი სიტყვებით და მადლობის გრძნობით შეაფასა ქალბატონმა ელენემ აღმზრდელების: **იზოლდა გოდერძიშვილის**, **იზოლდა ქეთიშვილის**, **ირმა პაპიძის**, **იზა ბოჭორიშვილის**, **ფატმან ბიტარაშვილის**, **დალი არევაძის**, **ეთერ პაპუნაშვილის**, **თამარ ძნელაშვილის**, **ანა ულენტის**, **დარეჯან გელაშვილის**, **ია აბაშიძის**, **ირმა მერმანიშვილის**, **სოფო ზედგენიძის**, **მაია ქოჩიაშვილის**, **თამარ გვაზავას**, **ნათია შალიბაშვილის**, **მაია მახარაშვილის**, **მადლენა ფირცხალაიშვილის**, **ესმა ოტიაშვილის**, **ქეთევან ჩუტკერაშვილის**, **ნათია მინდიაშვილის**, **დარეჯან ოთიურიძის**, **მეგი მაზანაშვილის**, **ხათუნა აბუთიძის**, **მაია არაბულის**, **მეგი აბაშიძის**, **ნინო სვანიძის**, **ჟუჟუნა კირვალიძის**, **ნინო დანელიას**, **მაია მაყიშვილის**, **ლიანა ოგანეზოვას**, თანაშემწეების: **ია კურატაშვილის**, **ნაილი ლაბაძის**, **ეკა ზამბახიძის**, **ირმა მახარაშვილის**, **თეა ილურიძის**, **დიანა აკოფოვას**, **ნინო ჭითავას**, **ელენე თალაკვაძის**, **ლილი თაბაგარის**, **მაყვალა მელქაძის**, **მაია ყიფიანის**, **ეკა ყიფიანის**, **ნინო ქევხიშვილის**, **ეკა მღებრიშვილის**, **ნანა მელქაძის**, **ქეთევან ახალკაცის**, **მაია ქიმაძის**, **ნინა გელაშვილის**, **ნინა წიქარიშვილის**, **ნელი მწარიაშვილის** და **ქეთევან ასპანიძის** შრომა.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობასა და ჰიგიენურ უზრუნველყოფაში დიდია მრეცხავების: **მაკა ბრძეგვაძის**, **მარო თომაევის**, **ზაირა მახარაშვილის**, **ასმათ კაციტაძის**, **ხანუმა ხუდოიანის**, **ნინელი მიტიჩაშვილის**, დამლაგებლების: **თამარ ნასარიძის**, **ლელა ლობჟანიძის**, **ლუიზა თათარაძის**, **მაია ქაწაშვილის**, **მარინა კორინთელის**, **ლიანა მარტიაშვილის**, **ეთერ ბერაძის**, დარაჯების: **შაქრო ადუაშვილისა** და **კობა ტაბატაძის**, დამხმარე მუშის – **თამაზ ჩიკვილაძის**, მეეზოვის – **ჯ. ჯუღელის** დამსახურება.

კიდევ ბევრი სამადლობელი და საქებარია სათქმელი ამ ბაგა-ბაღზე, მის შრომისმოყვარე, შემოქმედ კოლექტივზე. მომავლისთვის გადავდოთ.

ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ, 156-ე ბაგა-ბაღელებო.

ივერი მესხია

– ჩვენი ბაღისთვის მთავარი პრიორიტეტია: ჯანსაღი ატმოსფერო შევუქმნათ როგორც ბავშვებს, ასევე აღმზრდელებს, მშობლებს და ერთმანეთს – ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი თბილისის 170-ე ბაგა-ბაღის დირექტორმა **ქეთევან დვალიშვილმა**. იგი, ათი წელიწადია, ბაღს სათავეში უდგას და ამ ხნის მანძილზე, ბევრი რამ გააკეთა. მოწესრიგდა სათამაშო მოედანი და დამონტაჟდა ახალი ატრაქციონები. ეზოში არსებულ წიწვოვან ხეებს დაემატა ახალი მწვანე ნარგავები და 50 ნაძვის ხე, რომელიც

ქალაქის მერმა **დავით ნარმანიამ** ბაღს საჩუქრად გადასცა და აღსაზრდელებთან ერთად დარგო.

170-ე ბაგა-ბაღი ტრადიციული საბავშვო დაწესებულებაა და არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს. წლების წინათ, ვერაზე, აკაკი შანიძის ქუჩის 28 ნომერში ცხოვრობდა ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი **ვასილ მჟავანაძე**, რომელსაც საკუთარი სურვილით, ბავშვებისთვის საჩუქრად გადაუცია თავისი სახლი. მას შემდეგ, ბაღი თანდათანობით გაფართოვდა და დამშვენდა. აქ შესვლისთანავე მოიხიბლებით მშვენიერი ხედებით, ლამაზი დიზაინით და კოლორიტული შენობით. ბაღის ფოიეს და ოთახებს ამშვენებს ნაირფერადი ყვავილები, სათამაშოები, პლაკატები, ბავშვების და პედაგოგების შემოქმედება – ნახატები, გამოძერწილი ზღაპრის გმირები და აპლიკაციები. ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, რადგან იგი მთლიანად მოწესრიგებულია. კეთილმოწყობილია სველი წერტილები, ოთახები და სამზარეულო, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, სათამაშოებით და სახელმძღვანელოებით. ერთი სიტყვით, ამ საბავშვო დაწესებულებას ეტყობა მზრუნველი დიასახლისის ხელი.

დამეთანხმებით, რომ ნებისმიერი სტრუქტურისა თუ დაწესებულების წარმატება ბევრად არის დამოკიდებული კარგ მმართველსა და ხელმძღვანელზე. **ქეთევან დვალიშვილი**, სწორედ რომ კარგი მენეჯერია და ამიტომაც, 170-ე ბაღი დედაქალაქში ერთ-ერთი თვალსაჩინო და სანიმუშოა.

ქალბატონი ქეთევანი 2007 წელს, კონკურსის შედეგად დაინიშნა დირექტორად. მანამდე კი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გახლდათ, სადაც ოცი წლის მანძილზე კითხულობდა ლექციებს. თუმცა, საბოლოოდ, სკოლამდელი აღზრდის სისტემაში გადმოინაცვლა.

ქეთევან დვალიშვილი: საბავშვო ბაღში გადმოსვლის მთავარი მოტივაცია იყო ის, რომ დედაჩემის ტრადიცია გამეგრძელებინა. დედა გახლდათ ყოფილი 170-ე, ამჟამად, კი 152-ე ბაღის დირექტორი. მამაჩემი კი, იყო ჟურნალისტი და კინომცოდნე. მისი პროფესიებიც შევითავსე... რაც შეეხება ბაღს, ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი ამჟამინდელი საქმიანობით, მყავს ძალიან კარგი, მეგობრული კოლექტივი, რომელიც დაკომპლექტებულია როგორც ღვაწლმოსილი, ასევე ახალგაზრდა, პროფესიონალი კადრებით. სულ 54 თანამშრომელია. ტრადიციული ბაღია და სხვა საბავშვო დაწესებულებებისგან განსხვავებით, მხოლოდ ქალთა კოლექტივი არ არის, რადგან აქ ყოველთვის არის ერთი მამაკაცი თანამშრომელი. იგი ამჟამად, ბუღალტერია, მანამდე მამაკაცი ფსიქოლოგი გვყავდა. ვცდილობ, თანამშრომლებსა და აღსაზრდელებს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შევუქმნა, რათა ბაღში მოსვლა უხაროდეთ. ბავშვთა რაოდენობა დიდია, სულ 14 ჯგუფია და 370 აღსაზრდელია. ყველა ჯგუფს თავისი სახელწოდება აქვს, მაგალითად, **„პეპელა“**, **„მზე“**, **„გვირილა“**, **„ბაჭია“**, **„მერცხლები“**, **„წითელქუდა“** და ა. შ. სამომავლოდ, გათვალისწინებულია კიდევ 3 ჯგუფის დამატება. გვყავს ინკლუზიური ბავშვებიც, რომელთანაც სპეცპედაგოგი მუშაობს. წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის პროგრამა“**, რომელიც პატარებს ეხმარება მოსწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

ბაღში, ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები, მაგალითად, **„დედამიწის დღე“**, აკაკი წერეთლის იუბილე, რომელიც მთაწმინდის პანთეონში აღინიშნა. ასევე, ტარდება სეზონური ზეიმები და ღია გაკვეთილები. პედაგოგებისთვის კი, სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომლის მთავარი თემა იყო **„ქცევის მართვა“**.

აღსანიშნავია, რომ შემოქმედებითი ღონისძიების ინიციატორი და სულისჩამდგმელია სასწავლო პროგრამების კოორდინატორი, ღვაწლმოსილი პედაგოგი **ნელი კეპულაძე**. ქალბატონი ნელი, 52 წელიწადია დაუღალავად ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას და უდიდესი დამსახურება მიუძღვის სკოლაამდელი აღზრდის სისტემაში. არის არაერთი საგაზეთო პუბლიკაციისა და 3 წიგნის ავტორი. **ნელი კეპულაძე**, თავდაპირველად, მე-16 ბაღში აღმზრდელი იყო, შემდეგ დაინიშნა თბილისის განათლების განყოფილების ინსპექტორ-მეთოდისტად, მოგვიანებით იყო, მე-14 ბაგა-ბაღის **„აისის“** ხელმძღვანელი, ხოლო ოცდახუთი წლის მანძილზე, გახლდათ პირველი ბაგა-ბაღის დირექტორი. იგი, კულტურასა და განათლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, დაჯილდოებულია საპატიო სიგელით.

170-ე ბაგა-ბაღში, მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული, კომფოტული გარემოა შექმნილი და ცდილობენ პატარებს დედობრივი მზრუნველობა არ მოაკლონ. დირექტორს მხარში უდგანან და თავიანთ მოვალეობას მაღალ დონეზე ასრულებენ: მოადგილე **მარიამ ჭიპაშვილი,** მნე **ლილი ძივძივაძე**, საქმისმწარმოებელი **ზურაბ გორდელაძე**, ფსიქოლოგი **ლია დვალიშვილი**, ჯანმრთელობის კოორდინატორი **ნელი რაზმაძე**, ლოგოპედი **დალი დარბაიძე** და სპეც. პედაგოგი **მაია აფხაზიშვილი**.

აღსაზრდელებს ცხოვრებას ულამაზებენ მუსიკის პედაგოგები: **მარიამ გუგუშვილი** და **თამარ ნახუცრიშვილი**, ასევე, ცეკვის მასწავლებელი **მზია კანდელაკი**.

ცუგრუმელებზე განსაკუთრებით ზრუნავენ აღმზრდელები: **მაყვალა შერაზადიშვილი, ანტონინა თუმანიშვილი, მაყვალა შიოშვილი, ეკატერინე ნანეიშვილი, მანანა გლოველი, დარიკო მოდებაძე, მედეა ბიბილეიშვილი, სოფიო თევზაძე, ეკატერინე აბურჯანია, თამარ ყიფშიძე, ნანა ბუკია, თამარ ლომიძე, თეონა გაგოშვილი, თამარ ლაფერიშვილი, თამილა გოჩიტაშვილი** და **დარეჯან ბერიძე**. დასაფასებელია აღმზრდელის თანაშემწეების შრომაც, ესენია: **ლალი ბუხრაშვილი, ნინო აბრამიშვილი, იამზე წულაია, ნონა გოგოლაძე, ლეილა გოცირიძე, ეთერ კურტანიძე, ლალი გეგეშიძე, ციალა** და **თამარ ფალავანდიშვილები, ფატი მოდებაძე, ლიანა ლაფერიშვილი, ციცინო წიკლაური** და **მაყვალა ირემაძე**.

ბავშვების კვებაზე ზრუნავენ და მათ გემრიელ საკვებს უმზადებენ მზარეული **ნატალია ბერუაშვილი** და მისი დამხმარეები: **ლამარა ქამუშაძე** და **ნანული ლომიძე**. ქებას იმსახურებს ტექნიკური პერსონალი: **რუსუდან ჩილინდრიშვილი, გია კასაბური, სოფიო მარკოზია, ხათუნა ჯოხაძე, იამზე კაპანაძე, მარინა მითაგვარია, მაია ლომსაძე, თენგიზ ჯახველაძე** და **ჯონი გეფერიძე**.

170-ე ბაგა-ბაღში, აღსაზრდელებისთვის ბრწყინვალე პირობებია შექმნილი და ბაღი მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული.

მთავარი მაინც ის არის, რომ უბანში ბაღი მეტად პოპულარულია. გახარებული არიან ცეროდენები და მათი მშობლები.

მზია გოგოძე

თბილისის 170-ე ბაგა-ბაღის საახალწლო ბრწყინვალება

„სასკოლო მზაობის პროგრამა“ დიდებულად ხორციელდება

ეს სახელოვანი სასწავლო-სამკურნალო დაწესებულება განთავსებულია დედაქალაქში, მურმან ლებანიძის (ბორჯომის) 10-ნომერში.

სკოლა დაფუძნებულია 1991 წელს – არის სამკურნალო პედაგოგიკისა და სოციალური თერაპიის საერთაშორისო საბჭოს (დორნახი, შვეიცარია) და სამკურნალო პედაგოგიკისა და სოციალური თერაპიის უმაღლესი განათლების საერთაშორისო წრის წევრი (კასელი, გერმანია).

1994 წელს თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრმა დააფუძნა **„მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა“** განვითარებაში (ფიზიკური და ინტელექტუალური) მათ შორის მძიმე, პრობლემების მქონე ბავშვებისთვის. სწავლება ხორციელდება საერთაშორისო, სამკურნალო პედაგოგიური ვალდორფის პროგრამის შესაბამისად. პროგრამა ადაპტირებული იყო საქართველოს პირობების გათვალისწინებით.

ოფიციალურად სამკურნალო-პედაგოგიურმა სკოლამ მუშაობა დაიწყო 1995 წელს. თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი ახორციელებს რამდენიმე პროექტს. ესენია: **სკოლა**, **დღის ცენტრი**, **საბავშვო ბაღი**, **ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დიაგნოსტიკური რეაბილიტაციის ცენტრი**.

თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრში სწავლობენ სხვადასხვა დიაგნოზის მქონე მოსწავლეები, რომელთა 80% აქვს აუტისტური სპექტრის დიაგნოზი. აქ მუშაობენ სპეციალური, მოდიფიცირებული პროგრამით. სწავლების მთლიანი პერიოდის

მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა

საქართველოში ერთადერთი და სანიმუშო

განმავლობაში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან თერაპიული მხარდაჭერით, შემდეგი მიმართულებით: **სამკურნალო მასაჟი**; **სამკურნალო ევრითმია**, **ფსიქოლოგი**, **ლოგოპედი**, **მკურნალი პედაგოგი**, **არტ-თერაპია**, **მუსიკალური თერაპია**, **სენსო-მოტორული თერაპია**. აქ მეცადინეობენ როგორც სასკოლო, ისე საბავშვო ასაკის ბავშვები.

ამჟამად სკოლას აქვს ორი შენობა და გამწვანებული ეზო სათამაშო მოედნებით. სკოლაში ყველაფერია, რაც აუცილებელია მოსწავლეების განვითარებისათვის: ლამაზი, მოხერხებული კლასები, ყოველ კლასში სეზონური მაგიდები, რომელთა ფერებიც იცვლება სეზონის შესაბამისად. ეს ეხმარება ბავშვებს წელიწადის წრიულ ბრუნვაში ორიენტირებაში. ლამაზი კლასების გარდა, სკოლაში არის სპორტულ-თერაპიული კაბინეტები. ექიმის კაბინეტი, ნათელი სასადილო, პანდუსები, რომელთა მეშვეობითაც ყოველ მოსწავლეს შეუძლია მიიღოს სრულფასოვანი მონაწილეობა სკოლის ნებისმიერ სართულზე ჩატარებულ ღონისძიებაში.

სკოლის პედაგოგები არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც, გარდა პირველადი უმაღლესი განათლებისა, გავლილი აქვთ ორწლიანი გადამზადების კურსები სამკურნალო პედაგოგიკაში და არიან მკურნალი პედაგოგები (სპეციალური პედაგოგიკა).

ლექციებს კითხულობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სპეციალისტები და ყველა პედაგოგს გავლილი აქვს პრაქტიკა საზღვარგარეთ. სკოლა მუდმივად უკეთებს ორგანიზებას და ატარებს ტრენინგებს სწავლების ახალი მეთოდების გასაცნობად.

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მუშაობა მიმდინარეობს ორი მიმართულებით: 1. **ვერბალური** კომუნიკაციის განვითარება, რასაც ხელს უწყობს მეტყველების თერაპიის, სამკურნალო ევრითმიის და ხიროფონეტიკის მეცადინეობები. ხოლო მოსწავლეებისთვის, რომლებიც არ მეტყველებენ დანერგილია **არავერბალური** კომუნიკაციის მეთოდი, რომელიც საშუალებას აძლევს მათ გამოხატონ საკუთარი სურვილები, ემოცია, მოთხოვნები. სკოლაში ინერგება არავერბალური კომუნიკაციის ახალი მეთოდიკა (Pecs).

ტრეინინგი ჩაატარა Pecs-ის (სურათების გაცვლით კომუნიკაციის სისტემა) წამყვანმა სპეციალისტმა გერმანიაში – Pyramid educational consultants-ის კლინიკურმა დირექტორმა **სიბილ ბეიორატმა**.

აქ ბავშვებთან მუშაობა მიმდინარეობს აზროვნების, გრძნობის და ნებელობის გასავითარებლად.

ინტელექტუალური განვითარების გარდა დიდი ყურადღება ექცევა ხელოვნებას, შრომას. სკოლაში ფერწერის, მუსიკის გაკვეთილები პირველი კლასიდან ტარდება. ფუნქ-

ციონირებს თეატრი – მესამე კლასიდან, ასევე, თოჯინების თეატრი, სადაც უფროსკლასელები ამზადებენ და წარმოადგენენ სპექტაკლებს.

სკოლას სათანადო, მაღალკვალიფიციურ დონეზე ხელმძღვანელობს საქმის ერთგული, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **მარინე შოსტაკი**. დირექციის გამგეობის წევრები არიან ასევე, **ლალი ადამაშვილი**, **ლალი ლუარსაბიშვილი**, **ლალი ცერცვაძე**, **დალი აბითარი**, სკოლის დირექტორის მოადგილეა ახალგაზრდა **თამთა თათულიშვილი**.

ჩვენთან საუბარში სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ საერთაშორისო თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი პერიოდულად ატარებს მსოფლიო მასშტაბის კონფერენციებს სამკურნალო პედაგოგიკისა და სოციალური პედაგოგიკის საკითხებზე. მასში მონაწილეობენ სამკურნალო პედაგოგები შვეიცარიიდან, გერმანიიდან, შვედეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან. კონფერენციებში აქტიურად მონაწილეობს თბილისის სამკურნალო პედაგოგიური სკოლაც, რომელიც თავის მხრივ ახორციელებს საინტერესო პროექტს სამკურნალო პედაგოგების გადამზადების მიზნით. ამ პროექტს ახორციელებენ როგორც ქართველი, ასევე საზღვარგარეთელი სპეციალისტები.

თბილისის სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა კერძოა, იგი არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. მშობლებს უჭირთ სწავლის გადასახადის გადახდა. სკოლას ეხმარება ფონდი „Freunde den Ezlehungskunt“-ი, ასევე, საზღვარგარეთელი კერძო პიროვნება.

უმცროსკლასელებისთვის სკოლაში ფუნქციონირებს გუნდი, პატარა ორკესტრი, ცეკვის წრე. პირველი კლასიდან ტარდება ხელგარჯილობის გაკვეთილები. ბავშვები მუშაობენ მატყლთან, ქსოვენ. VI

გაგრძელება მე-8 გვ.

მე-7 გვერდიდან

კლასიდან იწყება **ხეზე მუშაობა**, **მოზაიკა**, **კერვა**, **ქარგვა**. პროფესიული უნარების გამოსამუშავებლად სკოლაში

არის **ხის სახელოსნო**, **სამკერვალო**, **სამკინძაო**, **საცხობი**, სადაც ბენეფიციარები პროფესიული განათლების კუთხით შეისწავლიან გარკვეული საქმიანობის ერთ კონკრეტულ ოპერაციას თავიდან

ბოლომდე, რისი გაკეთებაც დამოუკიდებლად შეუძლიათ.

ცენტრის ძირითადი მიზანია – სწავლება, აღზრდა და მოსწავლეების, ბენეფიციარების სოციალური ადაპტაცია და სოციუმში სრულფასოვანი ინტეგრაცია.

აქვე ფუნქციონირებს საბავშვო ბაღის ორი ჯგუფი, რომელთაგან ერთ-ერთი თერაპიული, **სამკურნალო პედაგოგიურია**. საბავშვო ბაღებში სწავლება განსხვავებული პროგრამით მიმდინარეობს, აღსაზრდელების საჭიროების შესაბამისად. თუმცა კი კვების, თავისუფალი თამაშისა და ეზოში თამაშის დროს ჯგუფები ერთიანდება, რაც **ინკლუზიის** კარგი მაგალითია.

სკოლაში ფუნქციონირებს **„არტ-სტუდიო“**, სადაც უფროსი ასაკის მოსწავლეები შეისწავლიან **ხელოვნების ისტორიას**, მუშაობენ **თიხაზე**, **თექაზე** და ასევე, **მოზაიკაზე**.

ჩვენ მოკლედ ვისაუბრეთ თბილისის სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის საქმიანობაზე.

ამ სკოლის მიმართ სამკურნალო კუთხით რეკომენდაციისა და დახმარების საკითხებზე პირადად მე, მივმართე თხოვნით, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, შესანიშნავ ხელმძღვანელს და პიროვნებას, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას**.

სკოლის მთელ კოლექტივს კი ვუსურვოთ წარმატებები და უკეთესი ხვალინდელი დღე.

გილოცავთ, შობა-ახალ წელს, კოლეგებო!

რომან მოსეშვილი

გუტამ ხანდამიშვილის ახალი ლექსები



ჩვენი გაზეთი ორს მისი „ლექსის მასწავლებელი“ და ნათლია ჰოეწური წიგნისა **„ჩემი არასრული მე“**. *ახლახან ახალი შერჩეული ლექსები მოგვიწანა. იმ შერჩეულთაგან მკითხველის მიერ უფრო შერჩეულებს გთავაზობთ.*

გზებზე

გზები მაგონებს მშრალ მდინარეებს,
უსასრულობას მე მათსას ვნატრობ,
ხან იმეტებენ ტკბილ მინარევებს,
საერთოდ კია სიმწარე მარტო.
ვიღაც ამ გზებზე ბედნიერია,
ვიღაც ამ გზებზე ნიადაგ გოდებს,
ერთი კარგი თუ გამოერია,
იმ ერთ კარგს ათი სიმწარე მოსდევს.
რადგან ჩრდილი აქვს შუქსაც უნათლესს,
ამიტომ უღირსს ხშირად უმართლებს;
აღარ მოითმენს უფალი ამდენს,
ღმერთი ხომ მუდამ სიმართლეს ადგენს.

თაბაუთი

მე ვარ თაბაუთი, მოვდივარ სითეთრით,
თქვენ წარმოიდგინეთ – შიშით და... სიკეთით.
ამდენი ტორღიალი არ მსურს საკაცეთი,
სიკვდილის ტოლია სიცოცხლე ასეთი.
სწორედ ამიტომაც დავგმე საკაცეთი,
გინდ ერთადერთი და, თუ გინდათ, ას ერთიც.
მხოლოდ გული მწყდება, აქ მრჩება კახეთი,
მის თხილის გულადაც არა ღირს არც ერთი.

მამის სახელი – ირაკლი

მახსოვს სკოლაში დავყავდი დედას,
ნათქვამს ვისმენდი როგორც განაჩენს...
ერთხელ ქუჩაში მანიშნა დედამ:
აგერ, ის ქალი უყვარს მამაშენს.
მერე ის იყო, დაიწყო ომი,
ომი ხომ იცით, არვის არ არჩევს;
და განშორება უკვე მუდმივი
თავზე დაგვატყდა ჩვენ და მამაჩემს.
დღესაც მარტო ვართ კვლავ მე და დედა,
გულს აღარ ვუდებ ბურთს და თამაშებს,
ახლა ის ქალიც სხვა კაცთან დადის,
დადის და გავას მიათამაშებს.

დღეგრძელობის სადღეგრძელო

მეგობარ პავლე მურადაშვილს ორი შვილიანი ამშვენებს

მეგობრობის შემძლეობა ღვთიური ნიჭია. მხოლოდ რჩეულთ ახასიათებთ ამგვარი შემძლეობა, რომელსაც საგანგებო ძალისხმევითაც კი ვერავის ასწავლი. ეს უნდა მოგდგამდეს ადამიანს. სხვისი სიხარულით

გახარება, სხვისი დარდის გაზიარება უნდა შეგეძლოს, სხვისი დახმარება სიამოვნებას უნდა გგვრიდეს.

ამგვარი ნიჭით არის დაჯილდოებული ჩვენი მეგობარი **პავლე მურადაშვილი**.

საქართველოს დიდ ისტორიულ ეზოში იგი ყველას მეგობარი და მასპინძელია. ადამიანები კი არა, ჩვენი „უმცროსი ძმები“ – ცხოველები და ფრინველებიც ახლობლობენ მასთან. ასე რომ არ იყოს, ყვავები ყოველდღე კაკლებს კი არ მოუტანდნენ, რომელსაც ჩვენც, მის მეგობრებს გვინაწილებ ხოლმე. ამ საოცრებაზე მწერალმა **ნარო კოლხელმა** მოთხრობაც კი დაწერა – **„პავლე პაპას კაკლები“**.

ჩვენც ამიტომ ვაძლევთ თავს უფლებას, ფამილარულად გესაუბროთ, თორემ ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეზე (თურქოლოგზე), განათლების ამაგდარ მუშაკზე იქნებ უფრო აკადემიურად უნდა გველაპარაკა. მაგრამ ჩვენი მისდამი სიყვარულის გამოხატვა შეუძლებელი იქნებოდა მაშინ.

ამჯერად მისი შრომით-შემოქმედებითი მოღვაწეობის ფაქტობრივ დეტალებზე არ ვილაპარაკებთ, რადგან ეს ისედაც იცის საზოგადოებამ. ამასთან, ისეთი საიუბილეო თარიღი არ შესრულებია (მხოლოდ **77 წლის** შესრულდა დღეს, **25 იანვარს**), ანგარიშგება აუცილებელი რომ იყოს. აი, 90-ის ან ასი წლისა რომ მოიყრის, მაშინ დაწვრილებით მოვუთხრობთ მკითხველს მის ნაშრომ-ნამოღვაწარზე.

ახლა კი... „გაუმარჯოს პავლესა!..“ ამას რომ მისამღერი მოსდევს, ის ჩვენს მეგობარ პავლეს არ ეხება; ის თუ დაასხამს ან დასასხმელს შემოდგამს მაგიდაზე (მისაყოლებელთან ერთად, რა თქმა უნდა!), ჩვენთვის ირჯება მაშინ.

ასე ხდება ხშირად, საიუბილეო თარიღი შეუსრულდება თუ არასაიუბილეო ან სხვა მიზეზთა გამო მის შესანიშნავ მეუღლეს, ქალბატონ **ციალას**, ისეთი ნუგბარ-ნუგბარები გამოუტანებია ჩვენთვის (იცის **უთმელიძის** ქალმა!), რომ ორი თუ სამი დღე აღარც საშინაო და აღარც საგარეო პოლიტიკა გაგვხსენებია.

ჩვენმა თამადებმაც თავი არ შეირცხვინეს (სამ კაცს მოუწია თამადობა და სამივე **ზურაბი** იყო. მეოთხეს „ლიშენია“ ჰქონდა მაშინ, თორემ...) და გულმხურვალე ლოცვა-სადღეგრძელოები აღავლინეს პავლეს წინაპრებისა თუ შვილებისა და შვილიშვილების სახელზე. რა ენაღვლებოდათ, რა! ღვინო და არაყი ბლომად მოეტანა პავლესა.

დღეგრძელი და მზეგრძელი ყოფილიყოს ჩვენი მეგობარი **პავლე მურადაშვილი**, ერთი ოცი წელი ამ დიდ ეზოში – **„კოსტავას ეზოდ“** რომ მოიხსენიებენ დღეს და კიდევ ერთი ამდენი იქ, სადაც დიდებული მარანი აქვს გამართული ავტოფარეხში.

სიყვარულით: ზურაბ ქობალია, ზურაბ შაუთიძე, ზურაბ ადამია, ზურაბ ცუცქირიძე, ბორის მიშველაძე, ჯემალ კასრაძე, გიორგი მაისურაძე.

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 2 (4541)
25 იანვარი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009